თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი № 4

ქ.თელავი 12.10.2018

თავმჯდომარეობდა : ა. თხლაშიძე
სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: თამილა ბაწაშვილი, მარეხ მგალობლიშვილი, ნელი აბეჩხრიშვილი, მედეა ჩაფურიშვილი, ელენე ღარიბაშვილი, გელა აზიკური, ლევან ლილუაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, მალხაზ ყურბანოვი, ზურაბ აბუაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური მუშაკი თინათინ გოგიაშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის არჩევისა და მისი ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ.

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

<u>მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის არჩევის და მისი ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> საბჭოს თავმჯდომარემ ა. თხლაშიძემ გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნად დაასახელა ნელი აბეჩხრიშვილის კანდიდატურა.

საბჭოს თითოეულმა წევრმა განსაზღვრა გენდერული საბჭოს მდივნის ფუნქცია-მოვალეობები.

<u>გადაწყვიტეს:</u> გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნად ერთხმად არჩეულია ნელი აბეჩხრიშვილი და განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები.

საბჭოს მდივნის ფუნქცია-მოვალეობებია:

საბჭოს საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფა;
საბჭოს სახელით არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

საბჭოს სხდომების ორგანიზება და საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა;

საბჭოზე გასატანი საკითხების მომზადება და დღის წესრიგის პროექტის შედგენა;
საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას, განხილული საკითხების და მიღებული გადაწყვეტილებების გაფორმება სხდომის ოქმით და მათი პროაქტიული გამოქვეყნება;
საბჭოს თავმჯდომარის დავალებების შესრულება.

<u>მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> საბჭოს თავმჯდომარემ ა. თხლაშიძემ აღნიშნა თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობის უზრუნველსაყოფად საბჭოს მომდევნო სხდომაზე თელავის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოწვევის და მათთვის 2019 წლის ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გასათვალისწინებლად გარკვეული რეკომენდაციების მიცემის შესახებ.

მ.ჩაფურიშვილმა აღნიშნა რომ აუცილებელია, 2019 წლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გენდერული ასპექტების გასათვალისწინებლად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, ინფორმაციის გამოთხოვა გენდერული ნიშნის გათვალისწინებით.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს იმ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს თელავის მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტის დანერგვას, 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების და პრიორიტეტების შეფასების გათვალისწინებით.

<u>გადაწყვიტეს:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, გამოთხოვილ იქნას აღნიშნული ინფორმაცია.

2. გენდერულ ჭრილში შეფასდეს მუნიციპალიტეტში მოქმედი პროგრამები და მერიის საფინანსო სამსახურს, მიეცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**